საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრი

ქ.ბათუმი " 18 " 12 202 4 წ.

ბრძანება N 12/250

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით (11 დეკემბერი, 2024 წელი; N13-Iს) გათვალისწინებული ქვეპროგრამის - „ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა" განხორციელების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის #4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის ,,გ'' ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,მ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:
ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადების ტექსტი ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად №1 დანართისა.
ბ) ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის სამედიცინო ვაუჩერის თანდართული ფორმა.
გ) ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის სამედიცინო ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად №2 დანართისა.
დ) ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესი (თანდართული - შესრულებული მომსახურების ჩამონათვალი; შესრულებული სამუშაოს ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტი), თანახმად N3 დანართისა.

2. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. მახარაძე).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ერთი თვის ვადაში (მის.: ქ. ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №9) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია 2025 წლის 01 იანვრიდან.

მინისტრი **ნინო ნიჟარაძე**

დანართი #1
„დამტკიცებულია"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
2024 წლის 18
№ 12/250 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

განცხადება

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ქ. ბათუმი, აკად. მ. კომახიძის ქ. №119) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულია ქვეპროგრამა „ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა".

2. „ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის" მიზანია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სარგებლობის უფლება ენიჭებათ 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე უწყვეტად რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს და მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობას, რომლებსაც ესაჭიროებათ მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევები.

5. ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მსურველმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, აკად. მ. კომახიძის ქ. №119, მეორე სართული, ოთახი №9.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სამედიცინო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების და შესრულების წესის შესახებ სრული ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე **www.molhs.gov.ge.**

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ქ. ბათუმი, აკად. მ. კომახიძის ქ. №119, მეორე სართული, ოთახი №9. ტელეფონი: 0422 24-79-62.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტრო

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამა

სამედიცინო ვაუჩერი N---

ბენეფიციარის სახელი, გვარი ----------

დაბადების წელი ----------

პირადი ნომერი ----------

მისამართი ----------

ვაუჩერის გაცემის თარიღი ----------

ვაუჩერის მოქმედების ვადა ----------

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დასაფინანსებელი თანხა ___ ლარი.

გავეცანი პირობებს და ვაუჩერი მივიღე უფასოდ:

ხელმოწერა: ბენეფიციარი

ან წარმომადგენელი ---------

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტრო

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამა

სამედიცინო ვაუჩერიN



ბენეფიციარის სახელი, გვარი ----------

დაბადების წელი ----------

პირადი ნომერი ----------

მისამართი ----------

ვაუჩერის გაცემის თარიღი ----------

ვაუჩერის მოქმედების ვადა ----------

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დასაფინანსებელი თანხა ___ ლარ

სამედიცინო დაწესებულება:

სამინისტროს უფლებამოსილი პირი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

გახსოვდეთ!

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ფლობენ სამედიცინო ვაუჩერს. აღნიშნული ვაუჩერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გადაეცემა ბენეფიციარს ან მის წარმომადგენელს.

ქვეპროგრამის ბენეფიციარს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, ქვეპროგრამის პირობების შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე აირჩიოს მისთვის სასურველი სამედიცინო დაწესებულება, რომელიც წინასწარ დაფიქსირდება ვაუჩერში.

სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება ქვეპროგრამის შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის მოთხოვნების შესაბამისად.

გაითვალისწინეთ! ვაუჩერი ძალაშია მხოლოდ ვაუჩერით გათვალისწინებულ ვადამდე. ვაუჩერის დაკარგვის შემთხვევაში მფლობელს უფლება აქვს შესაბამისი განცხადებით მიმართოს სამინისტროს.
ცხელი ხაზი; ტელ: (0 422) 24-79-69;
ელ.ფოსტა: jandacvissaministro@gmail.com

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

გახსოვდეთ!

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ფლობენ სამედიცინო ვაუჩერს. აღნიშნული ვაუჩერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გადაეცემა ბენეფიციარს ან მის წარმომადგენელს.

ქვეპროგრამის ბენეფიციარს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, ქვეპროგრამის პირობების შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე აირჩიოს მისთვის სასურველი სამედიცინო დაწესებულება, რომელიც წინასწარ დაფიქსირდება ვაუჩერში.

სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება ქვეპროგრამის შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის მოთხოვნების შესაბამისად.

გაითვალისწინეთ! ვაუჩერი ძალაშია მხოლოდ ვაუჩერით გათვალისწინებულ ვადამდე. ვაუჩერის დაკარგვის შემთხვევაში მფლობელს უფლება აქვს შესაბამისი განცხადებით მიმართოს სამინისტროს.
ცხელი ხაზი; ტელ: (0 422) 24-79-69;
ელ.ფოსტა: jandacvissaministro@gmail.com

დანართი N2
„დამტკიცებულია"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის 202--7-- წლის --8------12
№--- ბრძანებით
12/280

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის

სამედიცინო ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი

,,ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის" (შემდგომში- ქვეპროგრამა) ბენეფიციარს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე აირჩიოს მისთვის სასურველი სამედიცინო დაწესებულება, რომელიც წინასწარ დაფიქსირდება ვაუჩერში და მიიღოს დახმარება ქვეპროგრამით გათვალისწინებული მოცულობით.

ქვეპროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ - ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში წინამდებარე პირობის გათვალისწინებით. წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

- ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/და ნაშვილები) ოჯახის წევრები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები; უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი; უსახლკაროები; მარტოხელა მშობელი და მისი არასრულწლოვანი შვილები, ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები, პირები, საოჯახო ტიპის საცხოვრებელ სახლში მცხოვრები, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 0 დან-18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებს.

ქვეპროგრამის ბენეფიციარმა (ან მისმა წარმომადგენელმა), რომელსაც ესაჭიროება მაღალტექნოლოგიური კვლევები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მომართოს განცხადებითა და შემდეგი დოკუმენტაციით:

1. პაციენტის პირადობის მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (18 წლმდე ასაკის ბავშვებისათვის დაბადების მოწმობის ასლი და მისი კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ქსეროასლი);

2. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა;

3. ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი;

4. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.

არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში განმცხადებელს ეძლევა შესაბამისი განმარტება და ვადა საჭირო საბუთების წარმოსადგენად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს სამედიცინო ვაუჩერის გაცემას.

ქვეპროგრამის ფარგლებში შესაბამისი გამოკვლევა ჩაუტარდება იმ პაციენტებს, რომლებიც ფლობენ სრულად შევსებულ სამედიცინო ვაუჩერს და იგი უნდა ინახებოდეს მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში.

ვაუჩერის გაცემის მიზნით ბენეფიციარმა, ან მისმა წარმომადგენელმა უნდა მომართოს მაღალტექნოლოგიური კვლევების ჩატარებამდე. ჩატარებულ სამედიცინო გამოკვლევებზე ვაუჩერი არ გაიცემა.

ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრება ერთი თვით, თუ თვით ამ ვაუჩერში სხვა ვადა არ არის მითითებული.

დანართი N3

„დამტკიცებულია"

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის 202 4 წლის 18-12

---- ბრძანებით

12/250

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესი

ზოგადი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - „შემსყიდველი") ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის (შემდგომში-ქვეპროგრამის) განხორციელებაში მონაწილე დაწესებულებას (შემდგომში - `მიმწოდებელი") შესრულებულ მომსახურებას უნაზღაურებს წინამდებარე წესისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

შესრულებულ მომსახურებად ჩაითვლება დაწესებულების მიერ პაციენტისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურება.

მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ასანაზღაურებლად შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები: ა) ორ ცალად შევსებული ანგარიშ-ფაქტურა, რომელზეც მითითებულია ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს (ასანაზღაურებელი თანხის) მოცულობა; ბ) ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ჩამონათვალი; გ) შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი; დ) სამედიცინო ვაუჩერის ასლი.

აუცილებელია! შემსყიდველთან წარდგენილი დოკუმენტების ასლი ინახებოდეს მიმწოდებელთან.

მიმწოდებელმა შესრულებული მომსახურების ასანაზღაურებლად დოკუმენტაცია შემსყიდველს უნდა წარუდგინოს გაწეული მომსახურების დასრულებიდან არაუმეტეს 30 კალენდარულ დღეში, ხოლო დეკემბრის თვეში გაწეული მომსახურების შემთხვევაში არაუმეტეს 25 დეკემბრისა. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელი შემსყიდველს უხდის პირგასამტეხლოს შემთხვევის ღირებულების 2%-ის ოდენობით, ხოლო მომსახურების გაწევიდან 60 კალენდარული დღის შემდეგ წარდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება და შესაბამისად, გაწეული მომსახურება შემსყიდველის მიერ არ ანაზღაუდრება გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რა დროსაც არ გავრცელდება წინამდებარე წესისა და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

გამონაკლისი!

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 2024 წელს გაცემული ვაუჩერებით გაწეული სამედიცინო მომსახურება, რომელთა დაფინანსება ვერ განხორციელდა 2024 წელს. გაწეული მომსახურების დოკუმენტაცია მიმწოდებლის მიერ ასანაზღაურებლად შემსყიდველს უნდა წარედგინოს მომსახურების დასრულებიდან 30 კალენდარულ დღეში არაუგვიანეს მომდევნო წლის 31 იანვრისა. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში გაწეული მომსახურება არ ანაზღაურდება.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიზნით, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურებისათვის 2024 წელს, წინამდებარე წესით გათვალისწინებულ ვადებში ასანაზღაურებლად წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც საბიუჯეტო ასიგნებების არ არსებობის გამო ვერ დაფინანსდა, ანაზღაურებული იქნეს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად.

სამინისტროს მიერ არ დაფინანსდება:

ა) თუ არ დასტურდება პაციენტისათვის სამედიცინო ვაუჩერით გათვალისწინებული (ქვეპროგრამით ანაზღაურებას დაქვემდებარებული) მომსახურების ჩატარება.

ბ) თუ მიმწოდებელს მომსახურების გაწევის მომენტში არ გააჩნდა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოცემული სამედიცინო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) თუ სამედიცინო მომსახურების პროცესში ჩართულ ყველა ექიმს არ გააჩნია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საექიმო საქმიანობის განხორციელების უფლება;

დ) თუ მიმწოდებელმა გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად შემსყიდველს დოკუმენტაციას წარუდგენს მომსახურების გაწევიდან 60 კალენდარული დღის შემდეგ.

აღნიშნული შემთხვევები დადგენილი წესით დაფიქსირდება სახელშეკრულებო ვალდებულებების ინსპექტირების დროს და მათი ღირებულება მიმწოდებლის მიერ ექვემდებარება დაბრუნებას შემსყიდველისათვის. ,,ბ'', ,,გ", და ,,დ" ქვეპუნქტების შემთხვევაში მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველისათვის დაბრუნებული ან/და შემსყიდველის მიერ დაუფინანსებელი თანხების ანაზღაურება მოთხოვოს პაციენტს.

ქვეპროგრამით მოსარგებლისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შესახებ სრული ინფორმაცია ასახული უნდა იყოს პაციენტის სამედიცინო ბარათში ან/და ამბულატორიული პაციენტის რეგისტრაციის ჟურნალში. აღნიშნულის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების მიმართ გამოყენებული იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

აუცილებელია დაწესებულებაში ინახებოდეს სამედიცინო ვაუჩერისა და პაციენტის პირადობის მოწმობის ასლები; თანაგადახდის დაფარვის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო თანადაფინანსების გადაუხდელობის ან არასრულად გადახდის შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტი. აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიღება-ჩაბარება და ინსპექტირება განხორციელდება:

- სამინისტროში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტების (ანგარიშ-ფაქტურა, შესრულებული მომსახურების ჩამონათვალი) მონაცემთა კომპიუტერულ-პროგრამული დამუშავების საფუძველზე, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილ პირებს შორის შესაბამისი აქტის გაფორმებით. მიმწოდებლის წარმომადგენლის გამოუცხადებლობისას შემსყიდველი აფორმებს ცალმხრივად აქტს;
- წელიწადში ერთხელ, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ფორმდება საფინანსო ვალდებულებების შედარების აქტი;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების ინსპექტირება გაწეული მომსახურებაზე შესაბამისი აქტის გაფორმებით შეიძლება განხორციელდეს, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემდეგაც კანონმდებლობის შესაბამისად;
- იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება და აქტის გაფორმება არ მოხდება მას შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო ორი კვირის განმავლობაში აღნიშნულის მოუგვარებლობისას, შესაძლებელია დაისვას საკითხი მიმწოდებელთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
- ინსპექტირების შედეგებზე გაფორმებულ აქტში დაფიქსირებული არაკორექტულად (ზედმეტად) მოთხოვნილი თანხა მიმწოდებლის მიერ დაბრუნებული უნდა იქნას შემსყიდველისა ან/და ბენეფიციარისათვის ხელშეკრულების შესაბამისად (თუ

მიმწოდებლის მიერ ინსპექტირების პროცესის დაწყებამდე გამოვლენილია დარღვევები და გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები, მაშინ მათზე არ გავრცელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები);

კერძო ნაწილი

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ქვეპროგრამით გათვალიწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სარგებლობის უფლება ენიჭებათ 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე უწყვეტად რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ - ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში წინამდებარე პირობის გათვალისწინებით. (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

- ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირები; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/და ნაშვილები) ოჯახის წევრები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები; უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი; უსახლკაროები; მარტოხელა მშობელი და მისი არასრულწლოვანი შვილები, ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები, 0 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, ასაკით პენსიონერები და საოჯახო ტიპის საცხოვრებელ სახლში მცხოვრები, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 0 დან-18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- მოქალაქის განცხადება;

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა IV-N100/ა (პაციენტის დიაგნოზი და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);

- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (18 წლმდე ასაკის ბავშვებისათვის დაბადების მოწმობის ასლი და მისი კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლი);.

- ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი.

- ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორიელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

ქვეპროგრამით განხორციელებული მომსახურება დაფინანსდება მიმწოდებლის მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღირებულებისა და პროპორციები დაცვით:

1)200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები, უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი; უსახლკაროები; ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები, საოჯახო ტიპის საცხოვრებელ სახლში მცხოვრები, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 0 დან-18 წლამდე ასაკის ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები;

ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/და ნაშვილები) ოჯახის წევრები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები; მარტოხელა მშობელი და მისი არასრულწლოვანი შვილები - 100%-ით;
2). ასაკით პენსიონერები, 0 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, (გარდა ზემოთ აღნიშნული ბენეფიციარებისა) -90%-ით;

3) პოზიტრონ-ემისიური კომპიუტრული ტომოგრაფიული კვლევა (PET/CT), ყველა პაციენტს ზემოთ აღნიშნული ბენეფიციარების გარდა, საჭიროების შემთხვევაში (მიუხედავად ჩატარებული სხვა მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევისა) დაუფინანსდებათ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღირებულების 90% ით. წლის განმავლობაში ერთჯერ.

4) ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად (100%-ით) გათვალისწინებული ტარიფის ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, როცა გამოკვლევების ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხაზე, ზემოაღნიშნული პროპორციებით განსაზღვრული მაჩვენებლები გაითვლება წარმოდგენილი ღირებულებიდან.

იმ შემთხვევაში, როცა მიმწოდებლის ტარიფი აღემატება ქვეპროგრამით გათვალსწინებულ ღირებულებას, გამოკვლევები დაფინანსდება ქვეპროგრამის ტარიფით დადგენილი დაფინანსების პროპორციებით. განსხვავებას ღირებულებასა და სამინისტროს მიერ დასაფინანსებელ თანხას შორის ფარავს პაციენტი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია საჭიროებისას (ექიმის დანიშნულებით) პაციენტისათვის ორი ან მეტი გამოკვლვლევის დაფინანსება.

ა) ქვეპორგრამით გათვალსიწინებული მომსახურება მოიცავს:

სამინისტროს კოდი	ქვეპროგრამით გათვალსიწნებული კვლევების დასახელება	ქვეპროგრამით განსაზღვრული თანხა
1	კომპიუტერული ტომოგრაფია	
1.1	გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფია	250
1.3	მუცლის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია	250
1.5	თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია	250
1.7	სინუსების–პარანაზალური წიაღების, ყურისა და დრვილისებრი მორჩების კომპიუტერული ტომოგრაფია	230
1.8	კიდურების კომპიუტერული ტომოგრაფია	250
1.9	ხერხემლის 1 სეგმენტის კომპიუტერული ტომოგრაფია	250
1.10	მცირე მენჯის ღუს კომპიუტერული ტომოგრაფია	250
1.12	სხვა ორგანოების კომპიუტერული ტომოგრაფია	350

1.14	საშარდე გზების კომპიუტერული ტომოგრაფია	350
1.15	საშარდე გზების კტ (მულტიფაზური კვლევა)	400
1.16	მსხვილი ნაწლავის კტ (ვირტუალური კოლონოსკოპია)	400
1.17	კტ კორონაროგრაფია	650
1.18	პოზიტრონ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია (PET/CT)	3500
1.19	ერთი თვალისა და მხედველობის ნერვის ტომოგრაფია	100
1.20	ორი თვალისა და მხედველობის ნერვის ტომოგრაფია	200
1.21	თვალის ფსკერის ფოტოანგიოგრაფია	250
2	ანგიოგრაფიები:	
2.1	თავის ტვინის ანგიოგრაფია კონტრასტით	500
2.2	კისრის სისხლძარღვების ანგიოგრაფია	500
2.3	გულმკერდის ანგიოგრაფია	500
2.4	მუცლის ღრუს ანგიოგრაფია	500
2.5	ქვემო კიდურების ანგიოგრაფია	500
2.7	ღვიძლის ანგიოგრაფია	500
2.8	სხვა სისხლძარღვების ანგიოგრაფია	600
3	მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	
3.1	თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	400
3.3	თავის ტვინის სისხლძარღვების უკონტრასტო ანგიოგრაფია	400
3.4	ექსტრაკრანიალური სისხლძარღვების კისრის უკონტრასტო ანგიოგრაფია	400
3.5	გულმკერდის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	400
3.7	მუცლის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	400

3.9	ცხვირის დანამატი ღრუების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	300
3.10	კისრის მალების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	400
3.11	მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	400
3.13	ხერხემლის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	600
3.14	წელის მალების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	350
3.16	კიდურების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	350
3.18	სხვა ორგანოების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	600
3.21	მთლიანი სხეულის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია.	850
3.23	გულის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	600
4	ანესთეზია	300
5	სისხლძარღვების ინვაზიურ რენტგენო–კონტრასტული ანგიოგრაფია	1300
6	კონტრასტი კტ კვლევის დროს	150
7	კონტრასტი მრტ კვლევის დროს	180

ბენეფიციარებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევები (საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი კვლევა ერთ მომართვაზე) წლის განმავლობაში დაუფინანსდებათ ორჯერ, არანაკლებ სამთვიანი ინტერვალით. ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტების დაფინანსების ჯერადობა და ინტერვალი დაფინანსებებს შორის განისაზღვროს ინდივიდუალურად, დაავადების სიმძიმის გათვალისწინებით.

ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში - 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირებს, ვეტერანებს და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს დაუფინანსთებათ: ენდოსკოპიური, გასტროსკოპიული, კოლონოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, პოლისომნოგრაფიული, ჩონჩხის სცინტიგრაფიული კვლევები, თვალის სხვადასხვა ნაწილის ოპტიკურ კოჰერენტული ტომოგრაფია, თვალის ელექტროფიზიოლოგიური კვლევები და სხვა - სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით სრულად, წლის განმავლობაში ერთჯერ.

- 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით სრულად დაუფინანსდებათ დენსიტომეტრიული კვლვა, წლის განმავლობაში ერთჯერ.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ სახელწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული სამედიცინო პროგრამის მოსარგებლეები, აგრეთვე ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლეები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ სადიაგნოსტიკო კვლევას.

საჭიროების შემთხვევაში ქვეპროგრამით ბენეფიციარების დასაფინანსებლად გამოყენებული იქნება რიგითობისა და მოცდის პრინციპი არაუმეტეს 1 თვისა.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება: პაციენტები, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარი და მეტია, საზღვარგარეთ ჩასატარებული დიაგნოსტიკური კვლევა და უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურეობა, ასევე არ დაფინანსდება სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

"დამტკიცებულია"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის 202------ წლის ----------
N --------- ბრძანებით

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამა
შესრულებული მომსახურების ჩამონათვალი N ----------
ანგარიშის პერიოდი 2025 წლის "-----" ----------დან "--------"---------- მდე
დაწესებულების დასახელება ----------

ხელშეკრულების N----------

N	სამედიცინო ვაუჩერის		წარმოდგენილი შემთხვევის ღირებულება	მოთხოვნილი თანხა (სამინისტროს მიერ დასაფინანსებელი)	პაციენტის სახელი, გვარი	დიაგნოზი	საცხოვრებელი ადგილი (მისამართი)	პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის N	დამადების თარიღი	სამედიცინო დოკუმენტის N	მკურნალობის დაწყებისა და დასრულების პერიოდი	მკურნალობის გამოსვლა
	ნომერი	თარიღი										
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13

(ბ. ა.)

დაწესებულების ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

"დამტკიცებულია"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის 202---- წლის ----------
N -------- ბრძანებით

აქტი N---------- 2025 წელი

შესრულებული სამუშაოს ყოველთვიური მიღება - ჩაბარების აქტი

ანგარიშგების პერიოდი 2025 წლის "-----" ----------დან "---------"---------- მდე

დაწესებულების დასახელება ----------

ხელშეკრულების N----------

N	ქვეპროგრამის დასახელება	ანგარიშფაქტურის ნომერი და თარიღი		მოთხოვნილი თანხა	ექვემდებარება შემცირებას			ექვემდებარება ფულადი სახსრებით ანაზღაურებას		სულ ასანაზღაურებელი თანხა
					ლიმიტის ზემოთ თანხა	ავანსად გაცემული	სხვა მიზეზებით დარღვევების გამო	პროგრამის მიხედვით მიმდინარე თვის შესრულებული სამუშაო	წინა თვეებში წარმოქმნილი დავალიანება	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამა									

_____
ასანაზღაურებელი თანხა სიტყვიერად

ჩავაბარე _____
(დაწესებულების დასახელება)

მივიღე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო

დაწესებულების ხელმძღვანელი: _____

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

მთ.ბუღალტერი _____ ბ.ა.

ბ.ა.